

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა საქმეზე 2317/12/06
2006 წლის 3 დეკემბერი

2006 წლის 3 დეკემბერს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე დ. მოდებაძე, წევრები ქ. ქვარცხავა, მ. დემეტრაშვილი, განიხილა დისციპლინური საქმე საქ. ადვოკატთა ასოციაციის წევრების, ადვოკატების - ე. ბ.-ს, შ. შ.-სა და ზ. რ.-ს მიმართ.

კოლეგიამ შეისწავლა საჩივარი და თანდართული მასალები, მოუსმინა მხარეებს, იხელმძღვანელა რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოების დებულების მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით:

დ ა ა დ გ ი ნ ა

2006 წლის 21 ოქტომბერს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ თავმჯდომარის გიორგი ტურაზაშვილის, წევრების ცირა შუბითიძის და ნორა აბულაძის შემადგენლობით მიიღო გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს თ. ბ-ნი კ. კ.-ის საჩივრის საფუძველზე ადვოკატების ე. ბ.-ს, შ. შ.-სა და ზ. რ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ.

საჩივრის ავტორის ბ-ნი კ. კ.-ის აზრით ქართულ გაზეთ „---“ (2006 წლის 15-22 სექტემბერი N 37) გამოქვეყნებულ ინტერვიუში, ადვოკატების ე. ბ.-ს, შ. შ.-სა, და ზ. რ.-ს მიერ გამოთქმული მოსაზრებები იყო შეურაცხმყოფელი სასამართლო ხელისუფლებისთვის და პირდაპირი, მოურიდებელი იერიში იყო მიტანილი სასამართლო სისტემაზე. ამდენად ბ-ნი კ. კ.-ის აზრით დარღვეულია ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი, რაც წარმოადგენს ადვოკატების ე. ბ.-ს, შ. შ.-სა და ზ. რ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

ბ-ნი კ. კ.-ის საჩივრის თანახმად: ადვოკატი ე. ბ. შეურაცხყოფას აყენებს კონკრეტულ მოსამართლეებს და დასძენს: „ხელისუფლებისა და პროკურატურის დაკვეთებს მოსამართლეთა აბსოლიტური უმრავლესობა ასრულებს. ერთ-ერთ საქმეზე I ინსტანციის სასამართლომ მიიღო არაობიექტური, მიუკერძოებელი, ხელისუფლების დაკვეთით შესრულებული გადაწყვეტილება და უდანაშაულო ადამიანი ციხეში გაუშვა. ასეთი მიდგომა ყოველად გაუმართლებელია პროფესიულ საქმიანობაში.“

საჩივრის ავტორის ბ-ნი კ.-ის აზრით „ასეთი გამონათქვამი მით უფრო შეურაცხმყოფელია, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი და არ არსებობს ბუნებაში იმის ვარაუდი, სასამართლოს ესა თუ ის გადაწყვეტილება კანონიერია თუ უკანონო, ესა თუ ის პირი დამნაშავეა თუ უდანაშაულო“.

ადვოკატ შ. შ. გამონათქვამებთან დაკავშირებით ბ-ნი კ. საჩივარში უთითებს შემდეგს: „ზოგიერთი მოსამართლე გასაჭირის დროს პროკურატურის ფუნქციასაც ითავსებს და თავად ცდილობს განსასჯელთა ბრალეულობის დამტკიცებას. ყველა სიკეთესთან ერთად, მოსამართლეთა არაობიექტურობის მიზეზი მათი არაპროფესიონალიზმიცაა“.

ბ-ნი კ. მიიჩნევს, რომ ასეთი გამონათქვამებით ეს და სხვა ადვოკატები „საკუთარი არაპროფესიონალიზმისა და არაკომპეტენტურობის გამართლებასა და დამალვას ცდილობენ საზოგადოებისა და თავისი კლიენტების წინაშე.“

ადვოკატ შ.-ს გამონათქვამებიდან ბ-ნი კ. კ. შეურაცხმყოფელად მიიჩნევს შემდეგ ციტატას: „მოსამართლეთა 99% დაკვეთებს ასრულებს, ზოგი ხელისუფლების და ზოგიც პროკურატურის.“ ბ-ნი კ.-ის აზრით ბ-ნი შ.-ის გამონათქვამებიდან გამომდინარე იკვეთება აზრი, „თითქოს ხელისუფლების შეკვეთების შესრულებით, ყოველთვის გამოირჩეოდნენ ესა თუ ის მოსამართლეები და ახლაც გამოირჩევიან. ეს მოსამართლეები „არაკანონიერ, ტენდენციურ გადაწყვეტილებებს იღებენ“.

2006 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ეთიკის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით, კერძოდ: „ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება ამ კოდექსით, უნდა გადაწყდეს შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპების, წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით“ და მიიჩნია, რომ ადვოკატების მიერ გაკეთებული განცხადებები პროფესიულად მიუღებელია ადვოკატისათვის. მით უფრო, რომ „თავად უზენაესი და მიმდინარე კანონმდებლობა შეზღუდვებს აწესებს მასზე“.

განხილვის კოლეგიამ მოუსმინა ადვოკატებს ე. ბ.-ს, შ. შ.-სა და მის წარმომადგენელს ს. ბ.-ს და ზ. რ.-ს. მათი განმარტებით, მათი გამონათქვამები არ ისახავს მიზნად სასამართლო სისტემის დისკრედიტაციას, არამედ ისინი გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს არსებული სისტემის გამოსწორების მიზნით.

როგორც საპროცესო კოლეგიის წევრები გამოკითხვით გახდა ცნობილი, დისციპლინური დევნის აღძვრა მოხდა დისციპლინური დებულების დარღვევით, კერძოდ გადაწყვეტილების გამოტანას ესწრებოდა კოლეგიის მხოლოდ ერთი წევრი და ასევე დაირღვა გათვალისწინებული ვადები.

ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-6 მუხლით საპროცესო კოლეგია მისთვის მინიჭებულ

უფლებამოსილებას ახორციელებს კოლეგიურად და ატარებს რეგულარულ შეხვედრებს, ასევე დებულების მე-7 მუხლის თანახმად საჩივრის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში განხილვის კოლეგიამ, კოლეგიურად უნდა გადაწყვიტოს არსებობს თუ არა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

როგორც საქმის განხილვის დროს გამოიკვეთა საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარემ გიორგი ტურაზაშვილმა ერთპიროვნულად, დანარჩენ წევრებთან შეთანხმებისა და კონსულტაციების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება, რაც დებულების მე-6 მუხლის დარღვევაა.

როგორც საპროცესო კოლეგიის წევრმა ქ-ნმა ნორა აბულაძემ განმარტა, გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა ვადის გასვლის ბოლო დღეს, სათვალის გარეშე, ხოლო მეორე დღეს გაეცნო მასალეს და არ დაეთანხმა მის შინაარსს, ამის დამადასტურებლად გააკეთა შენიშვნა, რომ ეთანხმება კოლეგიის მოსაზრებას და მასაც აქვს სხვა მაგალითები.

მანვე განმარტა, რომ ბატონ ტურაზაშვილთან და ქ-ნ ცირა შუბითიძესთან კონსულტაცია და შეხვედრა არ ჰქონია.

გიორგი ტურაზაშვილმა განხილვის კოლეგიას განუმარტა, რომ მას არ ჰქონია კონსულტაციები და შეხვედრები აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით კოლეგიის დანარჩენ წევრებთან, მათთან დაკავშირება დაავალა კოორდინატორს.

საპროცესო კოლეგიის წევრმა ცირა შუბითიძემ განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა 2006 წლის 23 ოქტომბერს ანუ ვადის გასვლის შემდეგ. კონსულტაციები და შეხვედრები საპროცესო კოლეგიის დანარჩენ წევრებთან არ ჰქონია. გადაწყვეტილებას დევნის აღძვრის თაობაზე არ ეთანხმება.

ამდენად, როგორც საპროცესო კოლეგიის წევრების დაკითხვით გაირკვა, 2006 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება ადვოკატების მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე მიღებულ იქნა მხოლოდ გიორგი ტურაზაშვილის მიერ და მას არ დაეთანხმა კოლეგიის დანარჩენი ორი წევრი- ქ-ები ნორა აბულაძე და ცირა შუბითიძე. ამასთან გადაწყვეტილებას ქ-მა ცირა შუბითიძემ ხელი მოაწერა ვადის გასვლის შემდეგ - 2006 წლის 23 ოქტომბერს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

ფაქტების და გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე განხილვის კოლეგიამ გადაწყვიტა გამართლებული იქნან ადვოკატები ე. ბ.-ს, შ. შ.-სა და ზ. რ.-ს შემდეგი გარემოებათა გამო:

განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს განმცხადებლის პოზიციას უდანაშაულობის პრეზუმფციის გავრცელების შესახებ. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ

უდანაშაულობის პრეზუმცია ვრცელდება ბრალდებულებზე და არა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, როგორც ეს მითითებული აქვს საჩივრის ავტორს. ხოლო სასამართლო სისტემა თავისთავად წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ რგოლს, რომელიც თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე ექცევა საჯარო ინტერესების სფეროში და რომელსაც მისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დატვირთვის გამო განსაკუთრებული თემის ვალდებულება გააჩნია საზოგადოების წევრების და მათ შორის, ადვოკატების მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ.

საზოგადოებრივი აზრის შეზღუდვისთვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი, რაც არ შეიძლება იყოს ცალკეული მოსამართლის გრძნობების შეურაცხყოფა. შეზღუდვას საფუძვლად შეიძლება დაედოს სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია განზრახ არასწორი ცნობების გამოქვეყნებით. ადვოკატების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, როგორც მათივე განმარტებებიდან ირკვევა მიმართული იყო არსებული სისტემის გაუმჯობესებისკენ და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისკენ. მათი მიზანი არ არის სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია და თუნდაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიაჩნდეს სხვაგვარად, ადვოკატების მიერ, მათი პრაქტიკის განზოგადების შედეგად გამოთქმული მოსაზრება და ვარაუდი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს დისკრედიტაციას, თუკი არ არსებობს შესაბამისი საზოგადოებრივი აზრი. სასამართლო სისტემასთან შეხება აქვს საქართველოს მოსახლეობის ფართო მასებს, ისევე, როგორც საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს და ორგანიზაციებს. სამი ადვოკატის მიერ გამოთქმული მოსაზრებით შეუძლებელია ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი, თუკი სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული უფრო ფართო წრეები მიიჩნევენ, რომ მოსამართლეების კომპეტენცია და მათი მიუკერძოებლობა არ დგას ეჭვის ქვეშ.

ადამიანის უფლებათა შორის სიტყვის და აზრის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი და წარუვალი უფლებაა. ამ უფლებების გამოყენება კი სახელმწიფო ხელისუფლების და მითუფრო - სასამართლო ხელისუფლების მხრიდან არ უნდა იყოს შეზღუდული, თუნდაც გამოთქმული სიტყვა ან აზრი გამაღიზიანებელი, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იყოს ხელისუფლების რომელიმე რგოლისათვის. შესაბამისად, დაუშვებელია ადვოკატის მიერ გამოთქმული მოსაზრება, თუკი იგი არ არღვევს ადვოკატთა ეთიკის კოდექსის კონკრეტულ დებულებებს, მიჩნეული იქნას დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლად.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს და ცნობს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და დაუშვებლად მიიჩნევს დევნას სიტყვისა და აზრის გამოთქმის გამო. რაც შეეხება კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვას, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლების უფლებები არ შელახულა, ვინაიდან უფლების შელახვა და სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუკი აღნიშნული სამი ადვოკატის მიერ საგაზეთო სტატიით გაკეთებული გამონათქვამებით შესაძლებელი იქნებოდა მცდარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება სასამართლოს შესახებ. როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ ფართო მასების მიერ მსგავსი დასკვნის გაკეთებით და არა რამდენიმე პირის მიერ გამოთქმული მოსაზრების საფუძველზე.

განხილვის კოლეგია იზიარებს და ხელმძღვანელობს „ძირითადი პრინციპებით ადვოკატთა როლის შესახებ“¹ და მისი მე-16, 20, 23 მუხლებით. კერძოდ: „სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატებმა შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციის შესრულება, დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე.“

„ადვოკატი უნდა სარგებლობდეს სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი იმუნიტეტით ყველა განცხადების მიმართ, რომელიც მიერ მიერ სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ხელისუფლების წინაშე წარდგენილია კეთილი განზრახვით ზეპირი ან წერილობითი ფორმით.“

„ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც, დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობის და დაცვის საკითხებთან.“

განხილვის კოლეგია ეთანხმება თავად ბ-ნი კ.-ის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ნაშრომში „ძირითადი უფლებები“ და მიაჩნია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის თემა საზოგადოების ყურადღების ქვეშ ექცევა და მისი ლეგიტიმური ინტერესების სფეროა, ხოლო „იმ შემთხვევაში, როცა საქმე საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესების საგანს ან საჯარო პირს ეხება, წინასწარ უპირატესობა ენიჭება აზრის თავისუფლებას.“

ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრულია სასამართლოს მიუკერძოებლობის ლეგიტიმური მიზანი, ამავე დროს ევროპის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებით სიტყვის თავისუფლებას არ უნდა დაემუქროს საფრთხე.

„უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება სხვადასხვა სანქციის შიშით არ მოერიდოს საჯარო ინტერესების მქონე საკითხებზე აზრის გამოთქმას. *ბარფორდ ვ.დენმარქ, განაცხადი N 11508/85. დავიდ ფანიქ, ჯუდეგისი 1987, პ 105-128.*

¹ მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-8 კონგრესის მიერ 1990 წელს.

სხვადასხვა პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში ნათქვამია²: „სასამართლოს ხელისუფლების კრიტიკამ არ უნდა დააფრთხოს ის, ვინც იცავს მართლმსაჯულების ინტერესებს. გამოხატვის თავისუფლება ამ სფეროში ისევე ნაყოფიერია, როგორც სხვაგან. მოსამართლეთა კრიტიკა არ დააკნინებს კანონის უზენაესობას, რადგან მას იურიდიული სისტემის ნაკლოვანებათა დაფიქსირებით შეუძლია მხოლოდ სარგებელი მოუტანოს მართლმსაჯულებას“.

სასამართლო ხელისუფლება მიუხედავად კონვენციით დაცული მე-10 მუხლით განსაზღვრული უფლებისა, არ შეიძლება ფუნქციონირებდეს ვაკუუმში და „სასამართლოები ისევე, როგორც სხვა საჯარო დაწესებულებები, არ არიან დაცული კრიტიკისა და მონიტორინგისაგან“.

გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა არაერთხელ გახდა ევროპის სასამართლოს მსჯელობის საგანი. მსგავსი საქმეების განხილვისას გამოთქმულია მოსაზრებები, რომელთაც სრულად იზიარებს განხილვის კოლეგია, კერძოდ: „დემოკრატია არ იარსებებს თუ ადამიანებს არ მიეცათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები საჯარო ინსტიტუტებზე. დრომოჭმული წესების კრიტიკა ზოგჯერ გადაიზრდება მწვავე, არცთუ სასიამოვნო განცხადებებში. ამ დროს გაზვიადებული და ზოგჯერ „უპატივცემულო“ ლექსიკაც შესაძლოა აღმოჩნდეს ის მუხტი, რომელიც საზოგადოებას გაუღვივებს ინტერესს, რათა დადგეს რეფორმირების საჭიროების საკითხი და გამოჩნდეს მისი განხორციელების გზები... მოსამართლეები, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურები საზოგადოებაში, წარმოადგენენ ობიექტებს კრიტიკისა, რომელიც ყოველთვის არ იქნება სასიამოვნო მოსასმენი. ზოგიერთი შენიშვნა მართლაც საფუძვლიანი შეიძლება აღმოჩნდეს, ზოგიც არაფრის მომცემი, მაგრამ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხელი კრიტიკისაგან“.

დემოკრატიული საზოგადოებისათვის ყოველთვის უმჯობესია ადამიანებმა ღიად გამოთქვან თავიანთი აზრები, ვიდრე დუმილით შეხვდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი.

მით უფრო აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადვოკატების ე. ბ.-ს, შ. შ.-სა და ზ. რ.-ს გამონათქვამები მათი განმარტებით, მიმართულია არა სასამართლოს

² ქვემოთ მოყვანილი ტექსტი ციტირებულია შემდეგი საქმეებიდან: რ. ვ. კოპუტო. 1987, ჰენდუსაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ- განაცხადი 6538/74; სკალკა პოლონეთის წინააღმდეგ N 43425/98; პერნა იტალიის წინაარმდეგ N 48898/99 კ 39; კასტელი ესპანეთის წინააღმდეგ,ლინგესი ავსტრიის წინააღმდეგ.

დისკრედიტაციისკენ, არამედ სასამართლოს სისტემაში არსებული ვითარების გამოსწორებისაკენ.

განხილვის კოლეგია ასევე მხედველობაში იღებს, რომ საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ არის მიღებული კოლეგიური წესით და დებულებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. თუმცა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დებულება დისციპლინური წარმოების შესახებ არ ითვალისწინებს საქმის წარმოების შეწყვეტას საპროცესო კოლეგიის მიერ დებულების დარღვევის გამო.

განხილვის კოლეგია გადაწყვეტილების გამოტანისას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლს: „დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ“; საქართველოს კონსტიტუციის 24 მუხლს: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად ან წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლს: „ყოველი ადამიანი სარგებლობს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით, ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდევდეს თავის მრწამსს და მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლს: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი ვინმეს ჩარევის გარეშე“; „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38 მუხლს: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად და წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“ და საქართველოს სსსკ 84 მუხლს: „დამცველს უფლება არ აქვს იმოქმედოს ბრალდებულის ინტერესების საწინააღმდეგოდ“.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 19, 23 მუხლებით, საერთაშორისო პაქტით პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ მე-19 მუხლით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლით, ადვოკატთა შესახებ კანონის 38-ე მუხლით, ევროპის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით, ძირითადი პრინციპებით ადვოკატთა როლის შესახებ, დისციპლინური წარმოების დებულების მე-18 მუხლის მეხუთე ნაწილით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

გამართლებულ იქნან ადვოკატები ე. ბ. შ. შ. და ზ. რ.

ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ საჩივრის ავტორს და ადვოკატებს.

გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ ადვოკატებს მათთვის გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადვოკატთა შესახებ კანონის 35 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად.

თავმჯდომარე: დავით მოდებაძე
წევრები: ქეთი ქვარცხავა
მედეა დემეტრაშვილი